აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. VIII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„უმაღლესი საბჭოს სათათბირო ორგანოები“.

2. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 66[1] მუხლი:
„მუხლი 66[1]. უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოები

1. უმაღლეს საბჭოში იქმნება უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ განსაზღვრულ სფეროებში უმაღლესი საბჭოს წინაშე მდგარი განგრძობადი, სისტემური და მდგრადი პოლიტიკის შემუშავებასა და კოორდინაციას.

2. უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოებია:

ა) უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო;

ბ) ღია მმართველობის საბჭო.“.

3. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 67[1] მუხლი:
„მუხლი 67[1]. ღია მმართველობის საბჭო

1. ღია მმართველობის საბჭოს მიზანია ღია მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით უმაღლესი საბჭოს ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით უმაღლესი საბჭოს სისტემური და კოორდინირებული მუშაობა.

2. ღია მმართველობის საბჭოს დებულება და შემადგენლობა მტკიცდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით. ღია მმართველობის საბჭოს დებულების პროექტს შეიმუშავებს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს ღია მმართველობის საბჭო.

3. ღია მმართველობის საბჭოს დებულებით განისაზღვრება საბჭოს უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მისი მუშაობის ორგანიზაციული საკითხები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან საბჭოს თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები, უმაღლესი საბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზების საკითხები.

4. ღია მმართველობის საბჭოს წევრთა რაოდენობას და საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ღია მმართველობის საბჭოს შემადგენლობას

განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან და უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე.

5. ღია მმართველობის საბჭოს თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

ბათუმი,
2020 წლის 30 აპრილი
№113-უ.ს.გ.ს.